№2262 2015 წლის 22 ოქტომბერი ქ. თბილისი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, უფლება მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით („საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს №1461 განკარგულების გათვალისწინებით) გამოყოფილი თანხიდან ასათვისებელი ნაწილის

ფარგლებში, ქ. ცაგერის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 89 420.8 (ოთხმოცდაცხრა ათას ოთხას ოცი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**